ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: ადიქციის კვლევები
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ადიქციის კვლევები
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ადიქციის კვლევების მაგისტრი (MA in Addiction Studies (Addictology)
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2014 წელს და განახლებას ექვემდებარება ყოველი სემესტრის დაწყებამდე სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებებში, სამართალში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, სოციალურ სამუშაოში, ჯანდაცვაში და/ან განათლებაში.

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს:

1. აპლიკანტის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებული სამოტივაციო ესსეს წარმოდგენას (ენობრივი კომპეტენციის მინიმალური დონე B2) და
2. ზეპირ გამოცდას (ქართულ ენაზე), სადაც შეფასდება მოტივაცია და დარგობრივი ცოდნა. ამას გარდა, შეფასდება აპლიკანტის ინგლისური ენის კომპეტენცია შესაბამისი სირთულის დარგობრივი ინგლისურენოვანი ტექსტის მცირე მონაკვეთის გააზრებისა და ქართულ ენაზე თარგმანის საფუძველზე (ენობრივი კომპეტენციის მინიმალური დონე B2).

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის კრიტერიუმები, სამოტივაციო განაცხადის ფორმა და სხვა დამატებითი ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე რუბრიკაში "მიღება".

პროგრამის მიზნები

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიზანია პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ:

- შეისწავლონ ადიქცია, როგორც კომპლექსური ფაქტორებით განპირობებული ქცევა;
- გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ადიქციურ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემის განსაზღვრისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისთვის;
- სისტემური ცოდნისა და კვლევის მონაცემებზე დაფუძნებით, ჩამოაყალიბონ ეფექტური რეკომენდაციები, როგორც ნარკოპოლიტიკისთვის, ასევე წამალდამოკიდებულების დარგში განსახორციელებელი ინტერვენციების მიზნობრივი პოლიტიკისთვის;
- ეფექტურად იმუშაონ პროფესიულ მულტიდისციპლინურ გუნდში, მოახდინონ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ადიქციური ქცევის სფეროში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ადვოკატირებისთვის;
- პროფესიული საქმიანობისას, მათ შორის კვლევისას, დაიცვან ეთიკის ნორმები.

პროგრამის კონცეფცია და საჭიროება

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია და ეფუძნება ადიქციური ქცევების კომპლექსური შესწავლის ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ჯანდაცვის, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დისციპლინებს. ადიქციური ქცევების მიმართულებით მიღებული ასეთი კომპლექსური და ინტერდისციპლინური ცოდნა წარმოადგენს საფუძველს წამალდამოკიდებულ პირთათვის ეფექტური ინტერვენციების შემუშავება-დაგეგმვა-განხორციელებისათვის, წამალდამოკიდებულების სერვისების (პრევენცია, მკურნალობა, ზიანის შემცირება, რეაბილიტაცია) მართვისთვის, ნარკოვითარების მონიტორინგისთვის, დაბოლოს, ნარკოპოლიტიკის შემუშავებისთვის.

პროგრამა სტუდენტებს უქმნის შესაძლებლობებს ადიქციური ქცევების სფეროში შეძენილი თეორიული ცოდნა გამოიყენონ შესაბამის პროფესიულ კონტექსტში, პრაქტიკის გავლის პროცესში. ეს უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრატიკული გამოცდილების ინტეგრირებას პროფესიული უნარ-ჩევების განვითარებისთვის. პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებში მაგისტრანტს ექმნება შესაძლებლობა, ღრმად ჩაწვდეს თანამედროვე კონცეფციებს ადიქციის კვლევების დარგში, შეისწავლოს და გააცნობიეროს მათი მიმართებები პრაქტიკასთან და შესაბამის მტკიცებულებით ინტერვენციებთან. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყანაში ადიქციებთან დაკავშირებული პრობლემების მართვისა და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით.

პროგრამის საჭიროება

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა პასუხობს საქართველოს აქტუალურ საჭიროებებს: 2012 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ეროვნული საკოორდინაციო ორგანოს, ანტინარკოტიკული საბჭოს ინიციატივით შემუშავდა საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ახალი სერვისების შექმნასა და არსებული სერვისების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას. სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს მაღალკვალიფიციური

პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც ჩაერთვებიან ნარკოპოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და შეფასებაში, შესაბამისი კვლევის წარმოებაში, წამალდამოკიდებულების შემთხვევების შეფასებასა და მართვაში, ეფექტური ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებაში, და ასევე, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლაზე მიმართული პროგრამების საქმიანობაში. ბოლო წლების მანძილზე ქვეყანაში გაიზარდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, მათ შორის კლუბურ გარემოში. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქვეყანაში კანაფის ტიპის პრეპარატების მიმართ პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით დარგში მოქმედი ორგანიზაციების მიერ იგეგმება ადიქციის პრევენციაზე ყურადღების გამახვილება და ახალი პრევენციული სერვისების შექმნა. მაგალითად, 2019 წლის აპრილიდან ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ხსნის თბილისსა და ბათუმში ადიქციის მეორეული პრევენციის ორ სერვისს, სადაც დასაქმდებიან აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის ორი კურსდამთავრებული. 2019 წელს პირველად გამოიყო ჯანდაცვითი პროგრამების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების კვლევის, პრევენციული განათლებისა და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ, ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი ბიუჯეტი და ფართოვდება ადიქტოლოგიური სერვისები. სახელმწიფოს მხრიდან კვლავ იგეგმება ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული სამსახურის შექმნა და ამუშავება. გარდა ამისა, განათლების სისტემა გეგმავს სკოლაზე დაფუძნებული პრევენციის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. ამჟამად, ქვეყანაში მუშავდება 2019-2020 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც, ადიქციის დარგში პროფესიული კადრების მომზადება კვლავ აქტუალურ ამოცანად რჩება.
სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებულს:

- შეუძლია თანამედროვე თეორიებისა და კონცეფციების სიღრმისეული და სისტემური ცოდნის საფუძველზე ადიქციური ქცევების ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების იდენტიფიცირება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, ადიქციის სფეროს პრობლემების შესწავლის მიზნით;
- ნარკოპოლიტიკის, ნარკოსტრატეგიის, ადიქტოლოგიური პრაქტიკის შეფასების საფუძველზე ჩამოაყალიბოს თანმიმდევრული და რელევანტური რეკომენდაციები, ეფექტური გადაწყვეტილებების განსაზღვრის მიზნით;
- ადიქციის პრობლემის საპასუხო ბიო-ფსიქო-სოციალური ჩარევების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.

დასკვნის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და კომპლექსური შეფასების საფუძველზე, ჩამოაყალიბოს ჰოლისტური, დასაბუთებული დასკვნები ადიქციის ბიო-ფსიქო-სოციალური პრობლემების, ადიქციურ ქცევაზე ორიენტირებული ინტერვენციების, შესაბამისი პროგრამებისა და სტრატეგიების ეფექტურობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ადიქციის კვლევების დარგში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საკუთარი პროფესიული აზრისა და დასკვნების არგუმენტირებულად ჩამოყალიბება და გაზიარება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი მეტყველებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- სამეცნიერო კომუნიკაციის გამოყენებისა და მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, სფეროში არსებული საკითხების/პრობლემატიკის, მიგნებებისა და რეკომენდაციების ადვოკატირების მიზნით;

სწავლი სუნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს:

- ➢ საკუთარი სასწავლო საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრის, ამის საფუძველზე სწავლის პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა-განხორციელებისა და შესაბამისი დროისა და რესურსების ეფექტურად მართვის უნარი.

ღირებულებები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ➢ ადიქციის სფეროში პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და შესაბამისი სტანდარტების აღიარება და მათი პროფესიულ საქმიანობაში გატარება;

პროგრამის სტრუქტურა

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, ჯამში უნდა დააგროვოს 120 კრედიტი/ECTS. პროგრამაში შემოთავაზებულია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსები (90 ECTS), პრაქტიკა (6 ECTS) და სამაგისტრო პროექტი (24 ECTS).

ადიქციის კვლევების პროგრამაში კომპონენტები შემოთავაზებულია სემესტრების შესაბამისად, ცოდნის კუმულირების პრინციპის მიხედვით. კერძოდ, პირველ სემესტრში შემოთავაზებული კომპონენტები ფოკუსირებულია ადიქციური ქცევის ახსნასა და გაგებაზე სხვადასხვა მეცნიერების პოზიციიდან, შესაბამისი ფუნდამენტური თეორიებისა და უახლესი მტკიცებულებების შუქზე; ასევე, ბენეფიციარზე ორიენტირებული და ადიქციური ქცევის ცვლილებაზე მიმართული ინტერვენციების დაუფლებასა და ნარკოვითარების შეფასების უნარის განვითარებაზე. სწავლების მეორე სემესტრში შემოთავაზებული კომპონენტები მიმართულია ადიქციურ ქცევასთან დაკავშირებული პროგრამების მართვის შესაბამის ცოდნისა და უნარ-ჩვევების სწავლებაზე. მესამე სემესტრში მოწოდებული მიწოდებული მასალა ფოკუსირებულია დარგობრივ პოლიტიკასა და მის შეფასებაზე. სამაგისტრო პროგრამის დასასრულს (მეოთხე სემესტრში) სტუდენტები

გაივლიან პრაქტიკასა და განახორციელებენ სამაგისტრო კვლევით პროექტებს, რომლის თემატიკის განსაზღვრა ხდება დარგის/კონტექსტის აქტუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულ კომპონენტებში გათვალისწინებულია ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიც არის ბენეფიციარზე ორიენტირებული და ადიქციის ქვევის ცვლილებაზე მიმართული პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. შესაბამისი უნარების განვითარების კონტექსტი უზრუნველყოფილი იქნება პრაქტიკის კომპონენტით, პროგრამის პარტნიორი ორგზანიზაციების მიერ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტების კვლევითი უნარები ვითარდება თანმიმდევრულად, პირველივე სემესტრიდან. კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს როგორც შესაბამისი კომპონენტების შინაარსი, ასევე სწავლების შესაბამისი მიდგომები და პრინციპები.
სწავლების მეთოდები
სასწავლო პროგრამა ეფუძნება ინტერაქტიული სწავლების მიდგომას, რომელიც ლექტორებსა და სტუდენტებს შორის ქმნის ცოდნის, გამოცდილების, შეხედულებების ინტენსიური ურთიერთგაზიარების პირობებს, და ხელს უწყობს სტუდენტებში ახალი ცოდნის შეძენის მოტივაციის განვითარებას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების ისეთი ფორმატი და მეთოდები როგორიცაა: ლექციები, სემინარები, ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტები, ინდივიდუალური და გუნდური პრეზენტაციები, დისკუსია, სუპერვიზია, შემთხვევის ანალიზი, სიმულაცია, result-ფორმატის სწავლება. კონტექსტში სწავლების შესაძლებლობის შექმნის მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს ინტერნატურას ადიქციური პროფილის სხვადასხვა ორგანიზაციაში (მათ შორის, სერვისის გამცემ ორგანიზაციებში), და მათ ბაზაზე პრაქტიკული ხასიათის დავალებების შესრულებას. სტუდენტის მიერ პრაქტიკული გამოცდილების შეძენის უზრუნველყოფის მიზნით სწავლებისას გამოიყენება დაკვირვების მეთოდი (shadowing). ამასთან, პროგრამის კომპონენტებში გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობებისას გამოიყენება გამოცდილებით სწავლების (experiential learning) მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს სწავლებას ამოცანების განხორციელებით ანუ უშულოდ კეთებითა და შესაბამისი რეფლექსიით. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ სამაგისტრო კვლევითი პროექტი შესაბამისი პროფილის მქონე ორგანიზაციის ბაზაზე. შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამისი კურსების/კომპონენტების სილაბუსებში/კონცეფციებში.
შეფასების წესი

შეფასება **100-ქულიანი სისტემით** მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი ნარკოპოლიტიკის/სტრატეგიისა და კოორდინაციის დარგში;
- ნარკოვითარების მონიტორინგის ცენტრი და კვლევითი ორგანიზაციები;
- წამალდამოკიდებულების სამკურნალო სერვისები - როგორც დეტოქსიკაციური კლინიკები, ასევე მედიკამენტით მხარდაჭერილი მკურნალობის ცენტრები და სარეაბილიტაციო დაწესებულებები;
- ზიანის შემცირების სერვისები - საველე წვდომისა და თემზე დაფუძნებული პროგრამები, შპრიცებისა და ნემსების პროგრამები, ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების სამსახურები;
- ჯანდაცვის სისტემები: დაავადებათა კონტროლისა და ეპიდზედამხედველობის სამსახურები;
- სამართალდამცავი ორგანოების შესაბამისი უწყებები და სამსახურები; სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებები;
- სოციალური ზრუნვისა და დაცვის (როგორც ბავშვთა, ასევე ზრდასრულთა) სამსახურები.
- განათლების სისტემაში - სკოლაზე დაფუძნებულ პრევენციულ პროგრამებში და ასევე, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში - თემზე დაფუძნებულ პრევენციულ პროგრამებში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

პროგრამის შემუშავება მოხდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ადიქტოლოგიის სწავლების დანერგვა საქართველოში“ ფარგლებში.

პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული იქნება შემდეგი რესურსები:

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი;
- ფონდი "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში"-ს საუნივერსიტეტო ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს-ცენტრი სპეციალიზირებული ბიბლიოთეკით;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივა ჯორჯიას" დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი;
- პრაქტიკისთვის გამოყენებული იქნება ადიქტოლოგიური სერვისის ბაზები, როგორც არასამთავრობო, ასევე, სამთავრობო ორგანიზაციები და კლინიკები:

1. **ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია "აკესო"** (ზიანის შემცირების ცენტრი: შპრიცებისა და ნემსების პროგრამა, ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება)
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 6, #59, თბილისი
საკონტაქტო პირი: ეკატერინე გარდაფხაძე (ხელმძღვანელი) ტელ: 577202076

2. **სამედიცინო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი "ურანტი"**
მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი, მე-5 მ/რ, კ.2ათბილისი
საკონტაქტო პირი: ზურაბ სიხარულიძე (კლინიკური დირექტორი) ტელ: 599588387; ნიკოლოზ კაპანაძე (ექიმი ნარკოლოგი) ტელ: 593252000

3. **კლინიკა „ნეოგენი"**
მისამართი: თბილისი, მუხიანის დასახლება, გობრონიძის ქუჩა №27
საკონტაქტო პირი: დავით ვადაჭკორია
ტელეფონი: (+995 032) 2 43 00 54;
მობილური: (+995) 599 53 75 57;
მობილური: (+995) 577 42 10 64;
ელ.ფოსტა neogeni2015@yahoo.com

4. **დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი "ალტერნატივა ჯორჯია"**
მისამართი: ნუცუბიძის 14ა, ოფისი #2, თბილისი
საკონტაქტო პირი: დავით ოთიაშვილი (დირექტორი), ტელ: 577716711

5. **ააიპ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „კამარა"**
მისამართი: არაყიშვილის მე-2 ჩიხი, #10
საკონტაქტო პირი: ვახტანგ ნოზაძე (ფსიქოლოგი), ტელ: 577534040

6. **ა/ო „ახალი ვექტორი“** (ზიანის შემცირების ცენტრი (შპრიცებისა და ნემსების პროგრამა, ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება)
მისამართი: დოესის ქ. #16, თბილისი
საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ლაბარტყავა (დირექტორი), ტელ: 555101994

7. **გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში**- თბილისის ოფისი
მისამართი: ყიფშიძის ქ. 49ა, თბილისი
საკონტაქტო პირი: მაია ხუნდაძე (პროექტის მენეჯერი), ტელ: 599164447

8. ორგანიზაცია „**მანდალა**“
საკონტაქტო პირი: თემო ხატიაშვილი, 557 100 718, temo198510@yahoo.de

დამატებითი რესურსები: ჩარლზის უნივერსიტეტის, ალტერნატივა ჯორჯიას, ფონდის გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში და ევროპის ტრავმული სტრესის კვლევის საზოგადოების საერთაშორისო ექსპერტული ქსელები.

კომპეტენციების რუკა

სწავლის შედეგები სასწავლო კურსები	ნარკოვითარების მონიტორინგი	ეპიდემიოლოგია	ნარკოტიკების ადამიანზე ზეგავლენა	წამალდამოკიდებულების ნეირობიოლოგიური	წ„გზა ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული	კვლევის მეთოდები ადექტოლოგიის სფეროში (I)	ადექცია, ზიანის შემცირება და მკურნალობის მიდგომები	კვლევის მეთოდები ადექტოლოგიის სფეროში (II)	ადექტოლოგიური	ნარკოპოლიტიკა და ადექციის სამართლებრივი	ბიოსტატისტიკა	ბიოსამედიცინო სამეცნიერო წერა	პრაქტიკა	სამაგისტრო ნაშრომი
ცოდნა და გაცნობიერება														
თანამედროვე თეორიებისა და კონცეფციების სიღრმისეული და სისტემური ცოდნის საფუძველზე ადიქციური ქცევების ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების იდენტიფიცირება.														
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება														
უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, ადიქციის სფეროს პრობლემების შესწავლის მიზნით;														

ნარკოპოლიტიკის, ნარკოსტრატეგიის, ადიქტოლოგიური პრაქტიკის შეფასების საფუძველზე ჩამოაყალიბოს თანმიმდევრული და რელევანტური რეკომენდაციები, ეფექტური გადაწყვეტილებების განსაზღვრის მიზნით.														
ადიქციის პრობლემის საპასუხო ბიო-ფსიქო-სოციალური ჩარევების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.														
დასკვნის უნარი														
მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და კომპლექსური შეფასების საფუძველზე, ჩამოაყალიბოს ჰოლისტური, დასაბუთებული დასკვნები ადიქციის ბიო-ფსიქო-სოციალური პრობლემების, ადიქციურ ქცევაზე ორიენტირებული ინტერვენციების, შესაბამისი პროგრამებისა და სტრატეგიების ეფექტურობის შესახებ.														
კომუნიკაციის უნარი														
ადიქციის კვლევების დარგში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საკუთარი პროფესიული აზრისა და დასკვნების არგუმენტირებულად ჩამოყალიბება და გაზიარება როგორც წერილობით, ასევე														

ვერბალურად/აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;														
სამეცნიერო კომუნიკაციის გამოყენებისა და მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, სფეროში არსებული საკითხების/პრობლემატიკის, მიგნებებისა და რეკომენდაციების ადვოკატირების მიზნით;														
სწავლის უნარი														
საკუთარი სასწავლო საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრის, შემდგომი სწავლის პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა-განხორციელებისა და შესაბამისი დროისა და რესურსების ეფექტურად მართვის უნარი.														
ღირებულებები														
ადიქციის სფეროში პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და შესაბამისი სტანდარტების აღიარება და მათი პროფესიულ საქმიანობაში გატარება;														

#	კურსები	სტატუსი	ლექტორი	პოზიცია	წინაპირობა	კრედიტი	საკონტ. საათები	სემესტრები			
								1	2	3	4
1	ნარკოვითარების მონიტორინგი	სავ	დავით ოთიაშვილი	ასოცირებული პროფესორი		6	30	X			
2	ეპიდემიოლოგია	სავ	დავით ოთიაშვილი	ასოცირებული პროფესორი		6	32	X			
3	ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია და ევროპის პრევენციის კურიკულუმი	სავ	დარეჯან ჯავახიშვილი	სრული პროფესორი		6	32	X			
4	წამალდამოკიდებულების ნეირობიოლოგიური მექანიზმები	სავ	დავით ვადაჭკორია ირმა კირთაძე	მოწვეული ლექტორი ასისტენტ პროფესორი		6	34	X			
5	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	არჩ	სოფიო ტაბაღუა	მოწვეული ლექტორი		6	60	X			
6	პიროვნების ზრდაზე მიმართული ფსიქოკონსულტირება	არჩ	რევაზ კორინთელი	სრული პროფესორი		6	60	X			
7	ორმაგი დიაგნოზების მართვა	არჩ	ირმა კირთაძე	ასოცირებული პროფესორი		6	32	X			

8	წამალდამოკიდეაბულთა კონსულტირება და ფსიქოლოგიური თერაპიები	სავ	დარეჯან ჯავახიშვილი;	ასოცირებული პროფესორი		6	30		X		
9	კვლევის მეთოდები ადიქტოლოგიის სფეროში (I)	სავ	დავით ოთიაშვილი	ასოცირებული პროფესორი		6	32		X		
10	გზა ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული დარღვევებიდან აღდგენამდე	სავ	ირმა კირთაძე	ასოცირებული პროფესორი	2	6	32		X		
11	სამეცნიერო წერა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში	სავ	დავით ოთიაშვილი	ასოცირებული პროფესორი		6	30		X		
12	მოტივაციური ინტერვიუირება	არჩ	ია შეყრილაძე	ასოცირებული პროფესორი		6	30		X		
13	ჯანდაცვითი პროგრამების დაგეგმარება, იმპლემენტაცია და შეფასება	არჩ	ირმა კირთაძე	ასოცირებული პროფესორი		6	32		X		
14	არტ თერაპია წამალდამოკიდებულთათვის	არჩ	სალომე ფანჯიკიძე	მოწვეული ლექტორი		6	30		X		
15	კვლევის მეთოდები ადიქტოლოგიის სფეროში (II)	სავ	დავით ოთიაშვილი ირმა კირთაძე	ასოცირებული პროფესორი; ასოცირებული პროფესორი	8	6	36			X	
16	ადიქტოლოგიური შემთხვევის მართვა	სავ	დარეჯან ჯავახიშვილი	პროფესორი	10	6	34			X	
17	ნარკოპოლიტიკა და ადიქციის სამართლებრივი ასპექტები	სავ	გურამ იმნაძე	მოწვეული ლექტორი		6	34			X	

18	ბიოსტატისტიკა	სავ	გიორგი კამკამიძე	მოწვეული ლექტორი	8	6	34			X	
19	წამალდამოკიდებული პირების კონსულტირება და ფსიქოლოგიური თერაპიები (გაძლიერებული კურსი)	არჩ	თამარ ბოკუჩავა	მოწვეული ლექტორი		6	48			X	
20	კოგნიტურ-ბიჰევიორისტული თერაპია	არჩ	ნატა მეფარიშვილი	ასოცირებული პროფესორი		6	30			X	
21	აკადემიური წერა	არჩ	მაია როგავა	პროფესორი		6	34		X		
22	ჯანდაცვის პოლიტიკა	არჩ	თენგიზ ვერულავა	მოწვეული ლექტორი		6	32			X	
23	**სამაგისტრო პროექტი**	სავ	**პროგრამაში ჩართული ყველა ლექტორი**			24					X
24	**პრაქტიკა**	სავ	**მემორანდუმებით გათვალისწინებული ორგანიზაციები**			6					X